


1939/12

中原人民報
民族解放運動

中原人民報



1939—N11

პროლეტარები ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ჯელი ზაფირ გვთავს მეტად

კიბერი

საქ. ალკა ცენტრალური კომიტეტისა და
საქ. განსახოვანი ერთობისა უზრუნველყოფისა

6 ივნის 1939 წ. № 11

გამომცემლობა „კომუნისტი“, რედაქციის მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 34, ტელ. 3-02-61.

მსახატა

83.

1. გიორგი კაჭახიძე,—თბილისი გათენებისას (ლექსი)	1
2. 6. გილიევი,—დაზვერვა (მოთხრობა, თარგ. შ. თაბუკაშვილისა) 2	
3. კალე გოგოხიძე,—მხედრული (ლექსი)	4
4. ნინო ნაკაშიძე,—რთველი (მოთხრობა)	5
5. სადათ ულანტი,—ჯირითი (ლექსი)	9
6. ნორჩი ნატურალისტები (ნარკვევი)	10
7. ვ. ჯუბარიძე,—ტუნდრაში (მოთხრობა, თარგ. ნ. ტყეშელაშვილისა) 12	
8. ამერიკის ჯუნგლების მტაცებელი ბაყაყი	16
9. თ. ზავერზავილი,—შემოდგომა (ნოტი)	გარეკანის მე-3 83.
10. გასართობი	გარეკანის მე-4 83.

გარეკანის პირველ გვერდზე — „ნორჩი მხატვარი“

უურნალის გაფორმება და ყდის მხატვრობა


ეკუთვნის მხატვ. ი. ქოქიაშვილს.

კასუებისგანმალი აედაგორი—ელ. აგლაძე

კასუებისგანმალი გლიგანი—ნ. სირილაძე

გადაეცა წარმოებას 3/XI 1939 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/XI

ქალილდის ზომა 62×92
ფორმათა რაოდენობა 20 გვ. 9 $\frac{1}{2}$ ×14



თბილისი გათხნუბისას

საღაც არის გათხნდება,
ხმა გაჩნდება ყველგან დილის;
მიღის ლამე, მაგრამ ჯერ ქვლავ
სძინავს თბილისს.

სძინავთ ქუჩებს, სძინავთ ბალებს,
არ იღება არსად კარი.
თავის ბედზე, ქვეყნის ბედზე
ლამის ზღაპარს აშბობს შტკვარი.

ვისმენ მის ხმას, ვით გალობას,
სიწყნარეა, რას არ ვნატრობ:
თითქოს, აი, ამ ქალაქში
მე ვარ მარტო.

აგერ ფართო შესახევეში
მივატანე თვალი მხედარს.
საღ ყოფილა ლურჯა ცხენით,
საით მიღის ამ ღროს, ნეტავ?

გუშაგია უშიშარი,
ის ყველაფერს გრძნობს და ხედავს,
და ქალაქშიც ჩუმი ლამე
ცუდს ვერ ბედავს.

საღაც არის გათხნდება,
ჩეცება ლამეს ფრთხები...

საღ არ ვხედავ მეეზოვეს,
ქუჩის დამგველს საღ არ ვხვდები!

სამოქმედოდ გამოსულან,
უკვე გრძნობენ დილის ნიავს,
გათხნებას რომ დაასწრონ,
გამალებით ქუჩებს გვიან.

ყველგან მარჯვედ მოიარეს
ქუჩის სიგრძე, ქუჩის განი,
ასფალტს ყველგან მოხდენილად
წყლით დაბანეს პირი, ტანი;
ფართო, ბროლის სარკესავით,
გააბრწყინეს მოედანი.

აგერ, გაშლილ აღმოსავლეთს
გარდისფერი შეეპარა,
მზის ვარაყი შემოევლო
მთის გადალმა ლრუბლის კარავს.

ცაში ზოგან დაიშალა
ვარსკვლავების წყნარი კრება,
ქალაქშიაც კანტიკუნტალ
ელექტრობის შუქი ქრება,
მოდის დილა, და თბილისი
საზეიმოდ ეგებება.



ქაზურა

თეთრებზე დიდი შეტევა უნდა მოწყობილიყო. შტაბში ელოდნენ ცნობებს მზეერავებისაგან. და ბოლოს მიიღეს პაკეტი. კიროვმა გახსნა პაკეტი და გაჯავრდა:

— მთელი კვირის განმავლობაში ერთი ხეირიანი ცნობაც კი არ მოსულა მტრის ძალების შესახებ. არიან თუ არა თეთრები მდინარე კუმას იქით?

რამდენი არიან ისინი — ვერაფერს ვერ გაიგებ. დაზეერვაში ან დოყლაბიები არიან, ან... — და არ დაამთავრა.

მე მომიბრუნდა.

— აი რა, სერგუჩევო, ბენზინი მიეცი შენს ცხენს და გაგსწიოთ. მაქსიმიც წავილოთ თან.

— არის! — ვუპასუხე მე.

სად უნდა წაეჭულიყავით, ეს, რასა კვირველია, არ მიკითხავს: მე შოთერი ვარ, ჩემი საქმეა წავიყვანო, სადაც კი სერგეი მირონის-ძე მეტყვის.

მე ვიფიქრე: რაჯო მაქსიმიც მიგვაქვს, მაშასადამე, სერიოზულ საქმეზე მივდივართ-მეთქი, მაქსიმი ხომ ტყვიამფრქვევია.

ჩემი ცხენი სწრაფია, ოთხი ბორბალი აქვს — ავტომობილია, მანქანა კი არა, ნამდგილი მხეცია, თავიდათავი კი ის არის, რომ არ ხმაურობს.

ერთი სიტყვით, ხუთი წუთის შემდეგ გავედით.

სერგეი მირონის-ძემ გატენა მაქსიმი და მეუბნება:

— ხიდიდან მდინარე კუმას იქით თუ იციგზა? ამ გზით თხუთმეტიოდე კილომეტრით შევიწრეთ სიღრმეში.

— შეიძლება, — ვუპასუხე მე.

— ვარსკვლავიანი ჩაფეუტი კი, სერგუჩევო, ტყუილად დაგიხურავს.

და მე უცებ მივხვდი ყველაფერს: ჩვენ თვითონ მივდიოდით დასაზერავად.

შევხედე სერგეი მირონის-ძეს — მას საფარი ფერის უვარსკვლავო ქუდი ეხურა.

ჩემ წითელარმიულ ჩაფეუტზე მტრებს შორიდან ვე შეუძლიათ გვიცნონ, ვინცა ვართ ჩვენ.

მოვიხადე ჩაფეუტი და ქვეშ ამოვიდე.

იმ დროს წითელ არმიაში ზოგი კომანდირი ყოფილი მეფის თვიცერი იყო.

მათ შორის ყველა როდი იყო პატიოსანი, ზოგიერთები გამცემლები იყვნენ.

როგორც ეტყობოდა, სერგეი მირონის-ძეს გადაწყვეტილი ჰქონდა შეემოშებინა, სწორ ცნობებს იძლეოდა თუ არა დაზეერვა, ხომ არ შემძვრალა დაზეერვაში რომელიმე გამცემი.

ხიდი გავიარეთ და გავქროლეთ; გზაზე მტვრის კორიანტელი ავაყენეთ. მივდივართ ათი წუთი, ოცი. მყუდროებაა. თეთრები არ ჩანან. გორაქზე ავედით, გორაკს იქით კი სოფელია. კვლავ საიმისო არაფერი ჩანს.

— გასწი, სოფელზე გავიაროთ, — მიბრანებს კიროვი, და ტყვიამფრქვევს გაუსწორა ლენტიანი კოლოფი. სრული სისწრაფით შევედით ქუჩაში, მანქანა ხტის ღრმა ნაკვალევებზე. ქათმები კრიახით გარბიან ბორბლებიდან. ძალები ყეფით მოგვდევენ, რაც ძალა და ღონე აქვთ.

— აი ცხენები, — ვეუბნები, — სამხედრო ცხენებია ბალში.

— ნანალირევი გვაქვს, — მესმის კიროვის პასუხი. და უცერად პირდაპირ ჩვენს წინ ჯარისკაცები. თეთრები გროვად დამსხდარან პარმალზე.

დავაწევი მუხრუჭს, ბორბლების ქვეშ ჭრიჭინი გაისმა.

ჯარისკაცებმა შეხედეს ავტომობილს, ზოგიერთი წამოხტა და გაიჭიმა.

— ოვისიანები გვინივართ, ეს კარგია, — გაეცინა კიროვს. — არ შეაჩერო.

გაზი მოვუმატე. მანქანამ ჩაუქროლა ჯარისკაცებს, და საეკლესიო მოედანზე გავედით.

— ახლა მოაბრუნე.

მე წრე დავარტყი მოედანზე.

ექლესის უკნ დგას ცხენოსანი ბატარეა და ჯავშნოსანი. შოთერები მოტორს უკირკიტებდნენ.

ქოხიდან გამოვარდა და ჩვენ მოგვაშურა თვიცერმა. ხელს გვიქნეს, რაღაცას გვიყვირის. როგორც ეტყობა, სურს გაგვაჩეროს, რაღაცა გვკითხოს.

მე ხანგრძლივ საყვირს ვაძლევ: ჩამომეცალე, გაგიტან მეოქი. და მტვრის კორიანტელში, თითქის კომლიაო, გაგქროლეთ.

იმ ჯარისკაცებმა კვლავ ხმა არ გაგცეს.

საყვირს ვაყვირებთ, მაშასადამე, ყველაფერი რიგზეა. ჩვენ შეჩერებას არ ფიქრობენ და ჩვენი მაქსიმიც დუშს.

აი გორაკიც. მანქანამ უკვე განაპირო ქოხებს ჩაუქროლა.

ამ დროს საშინელი ქარი ამოვარდა, თმები თვალებში მხვდება, ვერაფერს ვერ ვხედავ, მეშინია, ასე-თი სისწრაფით სელისას არხმი არ გადავჩეოთ.

იმდენი ვიმარჯვე, რომ ჩაფხუტი დავიხურე.

— რას სჩაღიხარ! — დამიყვირა კიროვმა და მომ-გლიჯა ჩაფხუტი თავიდან.

უკანიდან უეცრად გაისმა სროლა, გზაზე ტყვი-ები აზუშუნდა.

მაგრამ მანქანა უკვე გორაკზე ავარდა. როგორც კი იქით გადავექანეთ, სოფელი თვალიდან მოგვე-ფარა. ათი კილომეტრი გავიქროლეთ თვალის და-ხამხამებაში.

აი უკვე ბზინავს მდინარე კუმა.

— გადავრჩით, — ვამბობ, — ახლა თუგინდ შინ ვიყო. კარგიდ ვიდგზავრეთ.

ამ დროს გავიხედე მინდვრისაკენ. გრძელებული


— იქ თითქოს რაღაცა მოძრაობს, შეხედეთ, სერგეი მირონის-ქვე. აი, გზის მარცხნივ. რა უნდა იყოს?

მან კი მშვიდად მომიგო:

— მე ეგ აღრევე შევნიშნე. ცოცხალია, რაც არის: თეთრებმა იმ სოფლიდან, როგორც ჰეავს, ჩემს შესახებ უკვე შეატყობინეს ტელეფონით, ეს-ენი კავალერისტები არიან, ხიდისკენ მირბიან, რომ გზა გადავვიჭრან. მოუმატე სკოლა.

შარავგა ამ აღვილს უხვევდა, გზა გრძელდებოდა.

— მოიცავ, — ვეუბნები, — მე თეთრებს გავ-



უსწრებ, მარჯვნივ გავუხვევ სასოფლო გზაზე. ვერ მოასწრებენ ხიდთან მისვლას ჩვენზე აღრე. — მაგრამ გული კი გადამიქანდა...

გადავუხვევი თუ არა სასოფლო გზაზე, ვხედავ წინ, სულ ახლოს, ქვეითი ჯარია, შაშხანიანი თეთრ-გვარდიელები შარაგზისკენ მორბიან.

— უჲ, რა მოუხერხებელი ხარ. სად მიმიყვანე, შე კეუს კოლოფო! ახლავე უკან დაბრუნდი.

ჩემი მანქანა სასოფლო გზიდან ისევ შარაგზაზე გავიდა და მე მთელი გაზი მივეცი. ვიდრე მე ამ დაწყევლილ დავიდარაბაზე ვკარგავდი წუთებს, მტრები უფრო დაუახლოვდნენ ხიდს. მათ ცოტალა დარჩენდათ ხიდმდის.

ჩვენ მივქრით. ქარი უსტევნს.

ჩავათრინდი საჭეს და ჩემ თავს ვაგინებ:

— ვაჲ, რა ყეყჩი ვარ! ეს, ალბათ, სულ ჩემი ჩაფხუტის გამო მოხდა. რა ეშმაკად დაგიხურე! კიროვი, კიროვი შეიძლება დაილუპოს ასე ტყუილ-უბრალოდ... ნეტავ ისეთ გამოთაყვანებულთან არ დაეჭირა საქმე, როგორიც მე ვარ...

ახლა ყველაფერი წამებზეა დამიკიდებული: ვინ მიასწრებს ხიდთან მისვლას—ჩვენ თუ თეთრები?

შე ვყვირი:

— სერგეი მირონის-ძევ, მალე ესროლეთ ტყვია-მფრევევი, ცოტა შეიცადონ მაგ გველებმა, სანამ ხიდზე გავიდოდეთ.

— არ შემიძლია, — მეუბნება, — შენ მიშლი: წინ ზიხარ და მეშინია თავი არ გაგიხვრიტო.

— მაშ თეთრები თავებს გაგვაგდებინებენ.

— მოუმატე, მოუმატე! — მტკიცედ მითხრა

კიროვმა და უცებ თვითონვე ჩამომაფხატა ჩივნუ ტი, რომელსაც ხუთქიმიანი ვარსკვლავი ეკეთა, და მაქსიმის სახელურს მოჰკიდა ხელი. მანქანა ზღვრული სისწრაფით მიქრის. თეთრებიც მოქრიან. აი ისინი, აი, სულ ახლოს არიან.

ცხენები თითქოს ჰაერში მოფრინავენ, თითქოს არც კი ეხება მიწას მათი ფეხები.

მოწინავე თეთრები ჩვენზე წინ შეხტენ ხილზე.

ხმლებმა იელვა ჰაერში.

როგორ გავუსხლტეთ?

ასეთი სისწრაფით სულისას საკმაოა ოდნავ გამოედო ცხენს—და მანქანა გადაბრუნდება. ვილუპებით. სიკვდილი მოგვადგა. შინდოდა დამეყვირა, მაგრამ ხმა ჩამიწყდა.

ამ დროს აყავანდა ტყვიამფრევევი.

ცხენები განზე განტენენ და ყალყზე დადგნენ. ჩვენ თითქმის მათი თავების ქვეშ ჩავიქროლეთ.

ხმლებმა გაიწკრიალა მანქანაზე დარტყმისას. მე ჩაფხუტი გადამივარდა. უნებლიერ მოვიბუზე.

სერგეი მირონის-ძე კი მიკუნჭულიყო ტყვიამფრევევის ფართან და აუცდენლად ესროლა მტრებს.

ერთი წამის შემდეგ ჩვენ უკვე მდინარის იქითა ნაპირზე ვიყავით. ხიდი, შეხდრები — ყველაფერი უკან დარჩა—და გაუჩინარდა მტრის კორიანტელში.

სერგეი მირონის-ძე დაიხარა და აილო ხმლით გაჭრილი ჩემი ჩაფხუტი. მან მეგობრულად, მაგრად დამკრა ბეჭებ ხელი:

— ჩვენ, ბოლშევიკები, ილბლიანი ხალხი ვართ. ჩვენ უკველად გავიმარჯვებთ.

თარგმანი ჟ. თაბუკაშვილისა.

კადე პოპონიძე

მხედრული

სტალინური ვაჲქაცების
მისწრაფება მამაცური,
ახალგაზრდულ გატაცებით
ბრძოლა, მტრების ზარდამცემი,
გალიმება ალმასური,
გამარჯვება ვაჲქაცური.

სტალინური ქვეითების,
ზღვაოსნების, ცხენისნების
დიდ საზღვრების დაცვა სრული,
შევარდნების — ფრენისნების,
ჯავშნოსნების, ნაღმოსნების
მისწრაფება მამაცური.

დიდ სამშობლოს სიხარული,
ბრძენ ბელადის სიყვარული,
უძლეველი ჩვენი მხარე

მხიარული, მომცინარე,
სიხარულით ანთებული,
ელვით გადანათებული.

ჩაშლა ვერაგთ განზრახვების,
დიდ ბელადის დაძხებით,
მამაც ხალხის, მხიარულის,
მარად შზისკენ სიარული,
მოწოდება პირველ მარშლის,
გამარჯვება ბრძოლის ქარში.

სტალინური ვაჲქაცების
მისწრაფება მამაცური,
ახალგაზრდულ გატაცებით
ბრძოლა მტრების ზარდამცემი,
გოგონები ალმასური,
გამარჯვება ვაჲქაცური!



რთვეჭური

მთელი ზაფხული წელს გურიაში გავატარეთ — მამიდაბები. მამიდაბები მთელი თავისი ოჯახით კოლმეურნეობის წევრია. გატაცებით მუშაობდნენ ყველანი. განსაკუთრებით გულმოდგინედ მუშაობდნენ ჩაის პლანტაციებსა და სიმინდის ყანებში.

დასვენების დღეს კი მამიდა სულ ჩვენთან იყო, გვატარებდა სხვადასხვა ადგილებში და გვიხსნიდა ძველისა და ახალი გურიის გარემოება — ვითარებას. ირგვლივ, საითაც კი გავიხედავდით, ყველგან ჩაის პლანტაციები იყო გადაჭიმული. ყოველთვის აღტაცებაში მოვდიოდით, როდესაც ვუყურებდით ჩვენ წინ წითელ გორაქს და მის კალთებზე ტერასებად შეფენილ ლამაზად შეკრეჭილ მწვანე ჩაის ბუჩქებს, და ჩემი და ყოველოვის შესძახებდა:

— რა ლაშაზია!

— ლაშაზია და სასარგებლო, შემოსავლიანი! — ამბობდა მამიდა; — თქვენ რომ გენახათ რა იყო აქ უწინ, ჩაის დათესამდის...

— რა იყო, მამიდა, გვიამბე! — შევეხვეწერეთ ორივენი.

— ამ გორაქს ბელთვალის ვეძახოდით, — დაიწყო მამიდამ ლიმილით და უცემ სახე მოელრუბლი. — და... მთელი ეს გორაქი და მისი კალთებიც, ყველგან, სადაც ახლა ჩაის ბუჩქებს ხედავთ, სულ გაუვალი ჩირგვნარით, ეკლით, ბარდითა და გვიმრით იყო დაბურული. ჩვენ, ბავშვებს, ამოსვლაც კი გვეშინდა: გველები და ორიანეალი ბუდობდა ეკალსა და ბარდში...

— ნუთუ იქაც ეკალი და გვიმრა იყო, იქაც, იქაც? — იძახდა ჩემი და და აჩვენებდა მარჯვნით, მარცხნით, ყველგან გადამწვანებულ ფერდობებზე.

— ყველგან, ყველგან. მაგრამ ეს რა არის, — განაგრძო მამიდამ, — ახლა იქით გაიხედეთ, ხედავთ ზეგანზე ფერდობებს და მალლა სერჩე შეფენილ ვენას?

— ეხედავთ, — ვუთხარი მე, — იქაც ხომ ეკალი და გვიმრა არ იყო, მამიდა?

— სწორედ იქაც ეკალი და გვიმრა იყო, მხოლოდ ასეთი გაუვალი არ იყო, შიგადაშიგ წაბლი და წიფელი ხარობდა და, მახსოვს, ჩვენ, ბავშვები, გავიპარებოდით, წაბლსა და წიწიბოს გაგროვებით და ვჰამდით. მაგრამ ახლა შეხედე, რა გენახია შიგ!

— ვნახეთ, ვნახეთ, — შეტყვირა ჩემმა დამ, — ისეთი მტევნებია ზედ დაკიდებული, მამიდა, შეთვალებულია კიდევაც და ჩქარა დამწიფდება.

— მაში, და აი თქვენ რომ არ მიღოლდეთ თბილისში, რთველში, დაგვეხმარებოდით.

— მამიდა, ისიც კოლმეურნეობისაა?

— მაში, აბა ვის შეეძლებოდა ასეთი ვენახის გაშენება. საერთო ძალონით და ჩვენი მთავრობის დახმარებით გავშენეთ სულ ცოტა დროში.

— როგორ, მაში უწინ ვენახი არ იყო? ყურძენს არ ჭამდით? — შესძახა ჩემმა დამ.

მამიდას გაეცინა.

— ყურძენს კი ვჰამდით, მაგრამ ასეთი ვენახი არ იყო. უწინ მაღლარი გვქონდა, კარგი ჯიშის ყურძენი ჩხავერი და ტევანდიდი სულ გაფუჭდა, დანაცრდა და აღარ ხარობდა, მხოლოდ ადესა ყურძენი მოღიოდა და ისიც თანდათან გადავგარდა, მოსავალმაც ძალიან იკლო. ამიტომ ჩვენმა კოლმეურნეობამ გადაწყვიტა ისეთი ვენახი გავშენებინა, როგორც კახეთში, დამყნილ, ჭიგობზე მიკრული... გინახავთ რთველი?

— გვინახავს, მამიდა, კახეთში რომ ვიყავით. მაგრამ ჩვენ არ გვინახავს, როგორია მაღლი ვენახის რთველი.


— აბა თქვენ სად ნახავდით, მაშინ დაბადებულიც კი არ იყავით. ჩვენ რთველს კი არ ვეძახდით, ყურძნის კრეფას ვეძახდით, ვამბობდით — ტეხა-კრეფა არისო, ესე იგი, სიმინდის ტეხა და ყურძნის კრეფა. გინდათ გიამბოთ, როგორ კრეფდნენ ძველად ყურძენს მაღლარ ვენახში?

— ჰო, მამიდა, გვიამბე! — შევეხვეწერეთ ჩვენ.

— მაში დაგსხედეთ, — გვითხრა მან და დაგსხედით უზარმაზარი ცაცხის ქვეშ, რომელსაც ფართოდ გაეშალა ფოთლით დაბურული ტოტები და შორს გაებჯინა გრძელი ფესვები, მეღვრად ჩაბლაუჭებოდა დედამიწას, რომ ამაყად და მაგრად მდგარიყო ცაში აღმართული.

ჩვენ თვალწინ გადაშლილიყო ერთ მხარეს ბელთვალა და მისი კალთები, ჩაის ბუჩქებით შეფენილი, მეორეს — მთელი ზეგანის გრძელი ზურგი, შეფოთლილი ვენახით, შეთვალებული ყურძნის მტევნებით დატვირთული, ქვევით კი, დაბლობში, ფირუზისფერი ღილი ჩხრიალა მღინარე ნატანები მიიკლაქნებოდა ფართე თეთრი ქვებით მოკენჭილ კალაპოტში. მის ნაპირებზე ჭალაში ნელა შრიალებდა სიმინდის შეუვითლებული გრძელი ფოთლები.

— აბა ყური მიგდეთ, მე გიამბოთ, როგორ გვრცეფდით ჩვენ აქ ყურძენს, როდესაც მე და თქვენ



ნი ძია პატარები ვიყავით და როცა ერთი უბე-
დურება შეგვემთხვა მაღლარი ვენახის დაკრეფის
დროს. ერთ საღამოს, — დადწყო მამიდამ, — მამამ
დაუძახა ესიკას, ჩემ ძმას, და უთხრა: „ესიკა, ხვალ
ყურძნის საკრეფად უნდა წავიდე და მოდი ყველა-
ფერი მოვამზადოთ“. — ესიკას ძალიან გაეხარდა და
მარანში გაიქცა.

მეორე დღეს, დილით რომ ავდექი, ურმებზე
გოდრები და გიდლები ეწყო. მე მამამ ერთ დიდ
გოდორში ჩამსვა და წავედით ზვარში, სწორედ აი
იმ ზეგანში; იმ თავში იყო ჩენი პატარა ზვარი,
სულ თხუთმეტი-ოცი ხე იყო ვენახიანი.

მიუედით თუ არა, მამაძ ხარები გამოუშვა, ჩო-
ხა გაიხადა, ხეზე ავიდა და ყურძნის კრეფა დაიწყო.
ფრთხილად ყრიდა ყურძნეს გიდელში, რომ არ და-
ჰქმდეტილიყო.

დედამ კი ერთი დიღი ხის ჩრდილში ცეცხლი გა-
აჩარა და საღილის კეთებას შეუდგა. ცოტა ხნის შემ-
დეგ შემოგვესმა:

— ჰა, გიდელი!

ხიდან ნელნელა დაეშვა გიდელი ფოთლებში და
გაჩერდა მიწაზე დაუბჯენლად. ესიკა სწრაფად გა-
იქცა, მოხსნა გიდელი და იქვე გვიმრით ჩაფენილ
გოდორში ფრთხილად ჩაცალა. გიდელი ისევ თოკ-
ზე ჩამოკრდა და მამას ასძახა:

— მშვიდობით ჩამოდი!

გიდელი მაშინვე ასრიალდა ფოთლებში.

მამამ კიდევ აგისო გიდელი და კიდევ დაიძახა:

— ჰა, გიდელი!

ესიკამ კიდევ დაცალა და ასძახა:

— მშვიდობით ჩამოდი!

ხის კრეფას რომ მორჩებოდა მამა, ჩამოვიდოდა

ძირს, შეხედავდა ხეს ყოველის
მხრიდან, ხომ არ დამრჩა ზედ
ყურძნენი, და მეორეზე ავიდოდა.
ასე კრეფდა მამა ყურძნეს საღი-
ლობამდის. სადილი მე და დედამ
კაკლის ქვეშ გავაწყეთ. სუფრის
მაგიერ კაკლის ფოთლი და გვიმ-
რა დავფინით მიწაზე. დავაწყეთ
ზედ მჭადი, ყველი, ხელადით ლვი-
ნო, ლობიო და კიტრები. საღი-
ლობის დროს ესიკამ სთხოვა დე-
დას:

— დედა, გიდელი შენ დაცალე,
მე კი ხეზე ავალ და ყურძნეს მოვ-
კრევ.

დედა არ თანხმდებოდა: ჯერ
პატარა ხარო, ეშინოდა არ ჩამო-
ვარდესო, მაგრამ მერე ნება დარ-
თო და, როგორც მამამ, ესიკამაც
გაიმაგრა წელში მისოვეს საგანგე-
ბოდ დაწნული პატარა გიოლი და
ავარდა ხეზე. მამამ კი დაისვენა,
ჩიბუხი მოსწია, ცოტახანს დაიძი-

ნა და მერე ისიც ავიდა ხეზე. ნასაღილევს უფრო
ხშირად ისმოდა ხმა, ერთი ბოხი და მეორე წვრი-
ლი, მამასი და ესიკასი:

— ჰა, გიდელი!

— ჰა, გიდელი!

მე და დედა მივრბოდით და ვცლიდით. ცალ
მხარეს გიდელს მეც ვიჭერდი და ორივენი ვიძახ-
დით:

მშვიდობით ჩამოდით!

— მშვიდობით ჩამოდით!

დედას ძალიან ეშინოდა, ხშირად ასძახებდა
ხოლმე ესიკას:

— ნელა, შვილო, ესიკა, ფეხი არ დაგიცდეს!

ესიკა ყოველთვის ჯავრობდა:

— რაა, დედა, პატარა ხომ არა ვარ, თორმე-
ტი წლის ვარ, ზაქარიას გოგი ჩემი ხნისაა და შარ-
შანაც კრეფდა ყურძნეს.

საღამომდის კრიუეს და ყველა ხეზე დაკრიუეს
ყურძნენი. საღამოზე ისევ შეაბა მამამ ურემი, ზედ
დააწყო ყურძნით სავსე გოდრები და წამოვედით
შინ. ყურძნენი მამამ საწნახელში ჩაყარა, მერე გაი-
ძრო ფეხზე, დაიკარწახა შარვლის ტოტები, ფეხები
საპნითა და თბილი წყლით დაიბანა და ჩავიდა საწ-
ნახელში. ერთი გაიარ-გამოიარა და შეუდგა ერთი
თავიდან წნეხას. საწნახელის მეორე თავი დაქანე-
ბული იყო. ტებილი იქ ჩაღგა. დედამ ჩაფინა გვიძ-
რა, კოპით ამოილო ტებილი და წამოილო ფელა-
მუშის გასაკეთებლად. ესიკა მამასთან დარჩა.

— როგორ, მამიდა, ძიაც ფეხით წნეხავს ყურ-
ძნეს? — შესძახა ჩემმა დამ.

— ახლა? არა, როგორ შეიძლება, ახლა კოლ-
მეურნეობას დასაწურავი მანქანა აქვს. მაშინ არც

კი ვიცოდით, რომ ამისთანა მანქანა იყო საღმე. პო, — განაგრძო მამიდამ, — როცა მამა და ესიკა მორჩინენ, სახლის დერეფანში შემოვიდნენ. მაშინ ოდა არ გვედგა. ჩვენ ფელამუში უკვე მზად გვქონდა და და თევშებზე ცივდებოდა. გაშშამის შემდეგ დედამ ყველას დაგვირიგა ფელამუში და ჩვენც გჭამეთ.

— მშვენიერი ფელამუშია! — თქვა მამამ, მაგრამ ღვინო როგორი დადგება, არ ვიცი.

— ჭურში როდის გადილებ? — ჰქითხა დედამ.

— როცა კარგად დადუღლება ჭაჭაზე, რამდენიმე ღლის შემდეგ, მაგრამ რამდენი ღვინო უნდა გამოუვიდეს ერთ პატარა საწნახელ ყურძნეს. ერთი პატარა ჭური თუ გამოვიდა, კარგია. გვალვის გამო მოსავალი ნაკლები იყო. იცი, გაიანე, ხვალ ორი კაცი მექმარება და სადილის თადარიგი დაიჭირე. ბატონის მამული სამეოთხედოდ რომ გვაქვს აღებული, იქ უნდა გვრიოთო.

— პოი, — გაჯავრდა დედა, — ჩვენ წელებზე ფეხი უნდა დავიდგათ, სული გავიგდებინოთ და სამი მეოთხედი იმ ოჯახდაჭცეულ ბატონს უნდა მიეართვათ, დავუწნეხოთ და ღვანო დავუყენოთ?

— აბა რა ვქნათ, გაიანე, გადასახადი რით გადავიხადოთ? შარშან ძროხა რომ გავყიდეთ, არ გასსოკს? — უთხრა მამამ დედას, და დედაც დაჩუმდა.

— დავილალე კიდევაც, — თქვა დედამ ცოტა სიჩუმის შემდეგ.

— გაშ კარგი, ზეგისთვის მოეშზადე, ხვალ მაინც ჭურს გავრეცხ.

— აბა ხვალ ჩურჩხელებს დავავლებ და ტკბილიკერს გავაკეთებ.

— მამა, მე შენ მოგეხმარები ჭურის გარეცხვაში, ორკოპეს მე გავაკეთებ, მე ვიცი.

— ძალიან კარგი, მე ამასობაში კოკებს გავრეცხავ.

— დედა, მე შენ ველარ მოგეხმარები ჩურჩხელების დავლებში, — მიმართა ესიკამ დედას.

— პო, რასაკვირველია, — უთხრა დედამ, — შენ ახლა ჩვენთვის სადღა გცალია, გაუქაცი ხარ, ვაჟკაცის საქმეები უნდა აკეთო, ყურძნეს კრეც, ჭურებს რეცხავ... მე ცუცა მომეხმარება.

— ჩემ სიმინდის უღლებს ხომ დავლებ, დედა?

— გაშ, ჩემო ვაჟკაცო, — უპასუხა დედამ და აკოცა ესიკას. ჩურჩხელების დავლებაში კი მე უხმარებოდი დედას, მაგრამ ჩურჩხელების კუდის წვეთების ჭამაში ძალიან მეხმარებოდა ესიკა. სწორედ იმ დროს მოირჩენდა და სანამ მე ერთს წვეთს ავიღებდი, ის ხუთჯერაც იქრავდა პირში, — გაიცინა მამიდამ.

დილით ჯერ კიდევ კარგად გათენებული არ იყო, რომ მამამ გაიღვიძა.

— აბა, შვილო, ჩემო ყოჩალო, აღექი, დღეს დილიანა უნდა შევუდგეთ კრეფას. შენ იმ დღეს ისე კარგად კრეფდი, რომ კარგად შეგიძლია დამეხმარო.

ესიკა მაშინვე წამოვარდა.

— მამა, აბა მეც დიდ გიდელს წამოვილებ...

— რაიო, რაიო, დიდ გიდელსი? სულ არ გვიჩვენებ მე შენ ხეზე... არც მე წამოვალ. რომ ჩამოვარდეს, რაღა ვქნა, რაზე მიკლავ ბალანას, კაცო! — აწუწნებდა დედა.

— კარგი, გაიანე, რას ამბობ. ჩემი შვილიც ხომ არის და მე მინდა ჩემი შვილი დავღუპი? აბა რა ვქნა, ერთი მითხარი, არ მოვხმარო ბატუში? მხოლოდ ერთი დამხმარე მოვიდა დღეს, მეორე არ მოვაო, და რას აპირებ, დაკრეფა თუ ჩქარა არ გავათვეთ, სულ ჩამოცვივა ყურძნენი...

— არა, მამა, არა, პატარა გიდელს წამოვილებ, ჩქარჩქარა ავაგსებ! — წამოიძახა ესიკამ.

მამას გაეცინა:

— ეჭ, ხედავ, გაიანე, ესიკას შეეშინდა დედა არ გამიშვებსო... დაწყნარდი.

მაგრამ დედა არ იყო დაწყნარებული, თითქოს რაღაც უბედურება მოელოდა.

ისევ დილადრიანა წავედით ურმით ბატონის დიდ ზეარში, მხოლოდ ახლა მე და დედა ვცლილით სამ გიდელს: მამისას, მეზომლისას, რომელიც გვეხმარებოდა, და ესიკასას. საშინელ გაწმაწიაში იყო დედა. ზედიზედ ისმოდა ხეგბიდან: „გიდელი, გიდელი“, და ჩვენც დაკრებოდით გამოსაცლელად. დედას თვალი ესიკასაკენ ეჭირა და ხშირად ხვეულდა.

— თუ დაიღალე, ჩამოდი, შვილო, დაისვენე! — შესძახებდა ხშირად.

— სადილად ჩამოვალ და მაშინ დავისვენებ, — იყო პასუხი ყოველთვის.


— გიდელი! — დასძახა მამამ. დედა გაიქცა. ის იყო გამოაძრო მარყუჟიდან გიდლის კავი, რომ გაისმა ესიკას ხეზე საშინელი ყვირილი და ტოტების მტკრევა. დედამ მაშინვე გააგდო გიდელი და გაიქცა. დაგინახე, როგორ მოტყდა ესიკას ფეხვეშ ტოტი ხის წვერში და როგორის ტრიალით გადმოეშვა ფოთლებში ჯერ გიდელი და თან ესიკაც. ერთ წუთს რომელილაც ტოტს გადმოეკიდა შარვლის ტოტით, მაგრამ უცებ ისევ მოსწყდა და მძიმედ დაცუა გიდელთან დაბრეულ ყურძნით დაფარულ მიწაზე.

— შვილო ესიკა! — კივილით მირბოდა დედა და იკაწრავდა ლოყებს. მან მიირბინა და ასწია ესიკას თავი, მაგრამ გალურჯებული ესიკა უგრძნობლად ეგდო, ხმას არ იღებდა.

— ვაიმე, მომიკვდა შვილი, მომეხმარეთ! — კიოდა დედა და თავპირში იშენდა ხელებს.

ჩამოვიდნენ ხიდან შეშინებული მამა და მეზობელი, მახლობელი ზერებიდან და ყანებიდან კივილითა და ყვირილით გამორბოდნენ მეზობლები, ფუსფუსებდნენ ესიკას ირგვლივ, ასხადნენ წყალს, უსრესდნენ ლოყებსა და ყურებს და ანუგეშებდნენ დედას.

— ვაიმე, დავიღუპე, დავიღუპე, ჩემი მშვენიერი ბიჭი! — კიოდა დედა.



— ნუ გეშინია! — ამშვიდებლენ მეზობლები, —
ცოცხალია, ცოცხალი!

— არ უნდა გაგეშვა, კირილე, ხეზე ბალანია,
მარცხანია ხეი, — უუბნებოლენ მამას.

საწყალ მამას კაცის ფერი აღარ ედვა, თვალ-
ცრემლიანი ამბობდა:

— ოჲ, რა ცუთხრა ჩემ გაჩენას, ჩემ სილარიბეს,
თორემ განა არ ვიცი, რომ არ უნდა გამეშვა? ისე
კარგად კრეფდა უუშინწინ... მომეხმარება მეთქი,
და დავიღუბე...

ესიკა თანდათან მოჯიდა გრძნობაზე, მაგრამ
ვერც ფეხს და ვერც ხელს ვერ ანძრევდა.

— ფეხი აქვს მოტეხილი.

— ხელიც! იქნება ნალრძობია!

— ფეხი გაუწიეთ!

— მელიქების მალაზონი მეიყვანეთ, შეულოცავს,
შეშინებულია...

— არა, ექიმს აჩვენეთ, ოზურგეთიდან ამეიყვა-
ნეთ.

— არაფერი არ უნდა, თავისთავად გაუვლის,
ჩემ ბიჭისაც ასე ჰქონდა, ამწინაზე წაიქცა მინდორ-
ში, ფეხი გაუსივდა და მოურჩა, თორემ სად იშოვ-
ნი ახლა ცხენს ექიმის მოსაყვანად, — ისმოდა იქით-
აქედან თანაგრძნობის რჩევა-დარიგება.

ესიკას ხელ-ფეხი უსივდებოდა და ტკივილები-
საგან მწარედ ტიროდა. მამამ საჩქაროდ შეაბა ურე-
მი, დააწვინა ზედ ესიკა, მე და დედა დავუჯვერით
ესიკას ურემზე და ყველანი წამოვედით შინ.

— ოოჲ დაიქცეს ჩემი დაბადება! — ამბობდა
ნაღვლიანად მამა.

უცებ ესიკამ წამოსწია თვი.

— ოჲ, ბაბა, ჩემი გიდელი არ დაგრჩეს, დაიკარ-
გინა.

— არა, შეილო, შენ მორჩი და თუ დაიკარგა,
სხვას დაგილობავ, შეილო.

დედა მოეხვია და აკოცა თვალებში, მე კიდევ
უფრო ავტირდი, დავიხარე და ხელზე ვაკოცე. შინ
რომ მივედით, დედამ მაშინვე დაუზილა ხელი და
ფეხი მარილწყალში, ვიღაცამ მელიქების მალაზო-
ნი მოიყანა, იმან შეულოცა და ბოთლით მღრიე
წყალი დატოვა: დღეში ორჯერ დაალევინე თითო
ჭიქა. მარგამ დედამ და მამამ გადაწყვიტეს ექიმი-
სათვის ერვენებინათ. მამა მთელი დღე დარბოლა,
სადღაც იშოვა 20 მანეთი ექიმისათვის და წამლე-
ბის საყიდლად.

მეორე დღეს დავაწვინეთ ურემზე და წამიყვა-
ნეთ ქალაქში. მე ურემზე ვიჯექი და დედა და მამა
ფეხით მოგვყებოდნენ.

ქალაქი ჩენი სოფლიდან ათ კილომეტრზე იყო
დაშორებული. ექიმი სხვაგან წაეყვანათ და საღა-
მომდის ვუცდილით. მისი სახლის წინ ცხელოდა,
ესიკას ტკივილები ძალიან აწუხებდა, მაგრამ დედა
ეცოდებოდა და ითმენდა.

ექიმმა გასინჯა და თქვა: ხელი უბრალო ნაღ-
რძობია და გაუვლის, ფეხი კი მოტეხალი აქვსო, და
არტაშებითა და თაბაშირით შეუკრა, ვეითხრა
სამ კვირას უნდა იწვეს და მერე მომგვარეთ, ვნახა-
ვო, ნუ გეშინიათ, მორჩებაო.

სამი კვირა იწვა ესიკა. მამას ახლა დედა დაპ-
ყვებოდა ყურძნის კრეფაში და ქვევრების გარეცხა-
შიც შევლოდა. ესიკასთან მე ვრჩებოდი და ვარ-
თობდი. საღამოზე დედა და მამა რომ დაბრუნდე-
ბოდნენ, დიდხანს ეალერსებოდნენ ესიკას.

— იო, ესიკა, შვილო, შენ რომ კარგად მყავდე,
ახლა რა დახმარებას გამიწვევდი სიმინდის ტეხას
და შეშის მოტანაში, ჩემო ყოჩალო... .

— ოჲ, არა, არა, უველგან მე წაგყობი და და-
გეხმარები? — ეტყოდა საჩქაროდ დედა, — ჩემ ბიჭი-
კოს ნუ შეაწუხებ, დიდი გაიზრდება და მაშინ იმუ-
შავებს...


— ჩენი მამა სად იყო მაშინ, მამიდა?

— ოო, თქვენი მამა მერე გაჩნდა ჩენ ოჯახში, —
გაიცინა მამიდამ, — ისეთი პატარა და კარგი იყო!
ისე გაგვეხარდა მისი გაჩენა და შეგვიყარდა ყვე-
ლის, მაგრამ განსაკუთრებით გახარებული იყო ესი-
კა, ძმა არ მყავდა და გამიჩნდაო, — გაათავა მა-
მიდამ და აღდა.

უკვე სადილობის დრო იყო და შინისაკენ გა-
მოეწიეთ. მამიდაჩემის ფიცრული ოდა მალლობზე
იყო გადმომდგარი. მამიდამ სადილი აივანზე გააწ-
ყო და ჩენ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ვის-
ხედით, შევექცეოდით სადილს და გაცემეროდით
აჭარა გურიის ლამაზ მთაგრეხილს, მის ოქროს მზით
გაბრწყინებულ დიდებულ მწვერვალებს.



ჭირითი



ჯირითია, და მხედრები
მწყრივში დგანან ხალხის წინა,
შაქროს წითელ ყელსახვევზე
სახე უფრო მეტად ბრწყინავს.

ვაჟკაცები მომლიმარნი
გამართულან წელში დინჯად;
შაქრო, უხმოდ თავდახრილი,
მეტოქებს თვალით სინჯავს.

გული უთრითის, ფიქრობს თანაც:
„დიდი მაინც ვიყო, ნეტავ!“
შევარდენა ჭიხვინებს და
თითქოს კბილით ლაგამს კვნეტავს.

**

მისცეს ნიშანი, მხედრებმა
ცხენებს აღვირი მიუშვეს,
თან გაჰყეათ ტორის თქარუნი
და ხალხის ტაშის სიუხვე.

ამტვერდა მიწა, ხმაური
ველს მოეფინა ზანზარით;
შაქროს ტოლებმა გასძახეს:
„გაფრინდი, ბიჭო, აჩქარდი!“


და ცხენზე მუშტის ოდენა
ჩანდა მხედარი პატარა,
ქუსლი შემოპკრა ლაფშის და
ფრუტუნით გადაატარა.

ცხენზე ტოკავდა ყმაწვილი,
ბიჭი—მზე ამომავალი,
მიქროდა როგორც შურდული,
რომ არ გაესწრო არავის.

მიქროდა თითქოს ჰაერში
რაში ზლაპრული, ფრთიანი,
შაქროს — თმას, შევარდენას კი
ფაფარს უშლიდა ნიავი.

ნახტომი ვეფხისებური
წრედ დარჩა გასაკვირველი,
როცა მხედარი ფინიშთან
შემოტრიალდა პირველი.

შაქრო, ყელსახვევგაშლილი,
ციმციმი გარსევლავს მოჰვევდა,
და შევარდენაც ფრუტუნით
ტაშის ხმაურში ბორგავდა.



ბრძანიშვილი

ყოველდღიურად ახალახალ ექსკურსანტთა წევნ-
ბა ნახულობდა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სა-
მეურნეო გამოფენას. ექსკურსანტები გატაცებით
ათვალიერებდნენ ცალკეული რესპუბლიკების პაი-
ლიონებს, აკირდებოდნენ თითოეულ ძეირფას ექს-
პონატს, ეცნობოდნენ ჩვენი დიალი სოციალისტური
სოფლის მჯურნეობის მიღწევებს...

ბევრი რამ ხიბლავდათ მათ აქ, ბევრი რამ იტა-
ცებდა მნახველთა გულისყურს; ხიბლავდათ არა
მარტო უფროსების ნამუშევარი, არამედ ბავშვები-
საც, ნორჩი ნატურალისტების...

მნახველები, განსაკუთრებით ბავშვები, დიდხანს
ჩერდებოდნენ ნორჩი ნატურალისტთა პავილიონში.
აქ მათ ისეთი ნიმუშები ხვდებოდათ, რომელთა შე-
სახებ ოცნებაც არ შეეძლოთ.

„რას ვიფიქრებდი, თუ იმოდენა გაიზრდებოდა
სიმინდის ტარო, — მოგვითხრობს გამოფენის ერთ-
ერთი მონაწილე ნორჩი ნატურალისტი, — შევდი-
ვარ პავილიონში, ვიცქირები აქეთ-იქით, აბა, რო-
მელ ერთს შევხედო, ყველაფერი საინტერესოა,
ერთიმეორებზე უკეთესი, მაგრამ მივიხედე მარჯვნით,
პირდაპირ საკირველებაა: ძალიან მაღლა სიმინ-
დის ტაროები ჰქიდია. ჩემს დღეში არ მენახა ამის
მსგავსი სიმინდი. თურმე იგი ნორჩი ნატურალისტ
ტასია ეორობიოდას გამოუზრდია.“

ასეთსაც კურადღებას იპყრობდა გამოფენაზე
მეორე ნორჩი ნატურალისტის, ლიდა პონომარიოვას,
გოგრა. ლიდას გოგრაც ძალიან განსხვავდებოდა სი-
დიდით ჩვეულებრივი გოგრისაგან.

რა გინდონდათ, რომ არ გენახათ საერთოდ ნორ-
ჩი ნატურალისტების პავილიონში. აქ იყო: მსხალი,
გაშლი, ლელვი, კომში, ლიმონი, ფორთოხალი, ატა-
მი, ჭრამი, პური, ქერი, ჭვავი, შვრია, ქათმები,
კურდღლები და მრავალი სხვა. მოსულიყვნენ
ნორჩი ნატურალისტები დიდი საბჭოთა კავშირის
უველა კუთხიდან და მოეტანთ თავიანთი ძეირფა-
სი ექსპონატები.

კუიბიშეველ ბავშვს ნინა ბესმერტნოვას გამოფე-
ნაზე გამოეგზავნა თავისი ქათამი. ქათამი გარეგნუ-
ლად ჩვეულებრივი იყო, მას არც ორი თავი ჰქონ-
და, არც ოთხი ფეხი. მაგრამ იცით, აქ რა იყო არა-
ჩვეულებრივი? ნინას დედალი ძალიან ბევრ კვერცხს
დებდა.

რამდენ კვერცხს იძლევა საშუალოდ წელიწადში

დედალი? ასე, ას ორმოცდათს. ბესმერტნოვას დე-
დალმა კი 1937 წელს სამას ორი კვერცხი დადგა.
ეს ქათამი ოვითონ აღზარდა ნინამ. 1936 წელს კუი-
ბიშევის ბავშვთა სასოფლო-სამეურნეო სადგურიდან
წაიყვანა მან პატარა წიწილი. ნინა კარგად უვლი-
და წიწილს, სამჯერ კვებავდა დღეში. მალე გაი-
ზარდა წიწილი და გახდა არაჩვეულებრივი დედა-
ლი. მამამ ნინას გაუქეთა პატარა ინჯბატორი. ამ
ინჯბატორში ნორჩმა ნატურალისტშა ჩააწყო კვერ-
ცხები და წიწილები გამოაჩევინა. 1938 წელს ნი-
ნამ სამოცი წიწილი აღზარდა.

იშვიათი კურდღლელი წარადგინა გამოფენაზე პიო-
ნერმა აბაკიროვმა. მან კურდღლის ბაჭიას კარგი ბინა
მოუწყო, კვებავდა ხშირად, შერეული საკებით, სუფ-
თა წყალს ასმევდა. ბაჭია გაიზარდა და დიდი კურ-
დღლელი დადგა.

შემდეგ ამ კურდღლელმა ჯანსაღი ბაჭიები შობა,
ნორჩი ნატურალისტი ბაჭიებს კარგად უვლიდა,
ნამატს ზრდიდა და ინარჩუნებდა.

ამგვარად ერთი კურდღლისაგან აბაკიროვმა ორ-
მოცი კურდღლელი მიიღო.

კიდევ უფრო საინტერესო და ძვირფასი ცდები
აბარმოვა ვორონეეველმა ნორჩმა მიჩურინელმა ლუ-
ბა სოკოლოვამ. 1935 წელს მან გამოიწერა ქალაქ
მიჩურინიდან ვენახის ნერგი და დარგო.

როგორც ვიცით, ვენახი სამხრეთის მცენარეა.
იგი სითბოსა და მზეს მოითხოვს, ვორონეევში კი
არ არის ასეთი ბუნებრივი პირობები მევენახების
განვითარებისათვის. ლუბამ ვადაწყვიტა როგორმე
გაეხარებინა ვენახი, და არა თუ გაეხარებინა, არა-
მედ უხვი მოსავალიც მიეღო.

ნორჩმა მიჩურინელმა შესაფერისი ნიადაგი გა-
მონახა ვენახისათვის. გაზაფხულზე ხელახლა გააფ-
ხიება მიწა. ნერგს ზედმეტი ფეხები წააჭრა. ზაფ-
ხულზე რომ დაეცეა ვენახი ავადმყოფობისაგან, ლუ-
ბამ დამზადა ბორდოს სითხე და ფოთლებზე ასხუ-
რა მას.

ბეჯითი და წესიერი მოვლის შემდეგ ვენახმა
გაიხარა. მესამე წელს მან ნაყოფიც გამოილო. „შარ-
შან ლუბა სოკოლოვამ ერთი ძირი ვენახისაგან ხუ-
თი კილოვრამი კურძენი მიიღო.

ნორჩი ნატურალისტთა პავილიონში ჩვენი რესპუ-
ბლიკის ბავშვების ნამუშევარიც იყო. აქ, მაგალითად,
საერთო კურადღებას იპყრობდა ორი ძმის, ჭიჭი-
კო და გიორგი მითაიშვილების, ციტრუსები.

გიორგი და ჭიჭიკო სუფსელები არიან, ლანჩხუ-
თის რაიონისან. 1939 წლის დასაწყისს დაიწყეს
მათ ციტრუსებზე მუშაობა. ჩათესეს ყუთში ტრი-
ფოლიატის თესლები, გაზარდეს საძირები და შემ-
დეგ მათზე დაამცენეს ლიმონი, მანდარინი და გრე-
იფტრუტი. რამდენიმე წლის შემდეგ ნამყენმა ნაყო-
ფი გამოიღო. ახლა გიორგი და ჭიჭიკო მითამაშვი-
ლებს მშვენიერი ბალი აქვთ. ოცდასუთი მანდარი-
ნის ხეა მათ ბალში, ორმოცდათი ლიმონი, ოც
გრეიფტრუტი, არის ფეიხოაც.

შარშან ძმებმა თითოეული ხიდან 1000—3000 ნა-
ყოფი მიიღეს. ახლაც დახუნდლულია ნაყოფით მა-
თი მანდარინები, ლიმონები, გრეიფტრუტები, ფეი-
ხოები. საცაა უხე მოსავალსაც აიღებდეს.

სოხუმის რაიონის სოფელ გულრიპშის საშუალო
სკოლის მეტვე კლასის მოსწავლეს აღექსანდრე გა-
გუას აქვს ერთი იშვიათი მცენარე კინ-კანი. კინ-
კანი მან თვითონვე დამყნო და თვითონვე გამო-
ზარდა. აი რას მოგვითხრობს იგი თავისი მცენა-
რის შესახებ:

„შეიდი წლის წინ მამამ საბჭოთა მეურნეობი-
დან მოიტანა რომელიმაც ციტრუსის კალამი და
მყნობა დაიწყო. მამა დიდი სიტრობილით ეკიდე-
ბოდა ამ კალამს. ამიტომ მე ძალიან დაგინტერეს-
დი, თუ რა იყო იგი. შამას შევეკითხე ამის შესახებ.

— ეს, შვილო, კინ-კანის კალამია, — მითხრა
მამამ, — კინ-კანი. ჩვენში ჯერ არ არის მოშენებუ-
ლი. იგი ახლახან მოიტანეს საბჭოთა მეურნეობაში. ორმა ხემ უკვე გაიხარა. მე მათ ავაჭრო ზედმეტი
რქები და წამოვიდე. მინდა დავმყნო და გაიხარო.

და მამამ ჩვეულებრივად განაგრძო მუშაობა. მე
უჟკვირდებოდი მის ყოველ მოძრაობას და ესწავ-
ლობდი, თუ როგორ უნდოდა მყნობა.

ცოტა ხნის შემდეგ მამამ კალმებს ყველა ხეი-
რიანი კვირტი ააჭრა და დამყნო, მერე ნარჩენე-
ბი გადაყარა და დასასვენებლად წავიდა.

მე ფრთხილად ავკრივე მამის მიერ გადაყრილი
კალმები. როგორც იქნა, შევარჩიე თრი გამოსადე-
გი კვირტი და საძირებს დავამყნი.

იმ საათიდან მე სულ ნამყენებზე ვფიქრობდი.
გაიხარებს თუ არა? არ მასვენებდა ეს კითხვა.
ამიტომ ყოველდღიურად ვნახულობდი ნამყენს. ცხა-
დია, ისე მალე ვერ გავიგებდი, გახარებული იყო
თუ არა ჩემი კინ-კანი, მაგრამ მე ისე ვიყავი გა-
ტაცებული მით, რომ არ შემეძლო ყოველდღე არ
მენახა.

ბოლოსდაბოლოს, გაზაფხულზე შევამჩნიე, რომ
კვირტებმა ზრდა იწყეს. ცოტა ხნის შემდეგ ერთი
კვირტიდან ნორჩი ყლორტი აღმოცენდა, მეორე კი
გაძმა. ჩემი სიხარული განუსაზღვრელი იყო, გაიხა-
რა ჩემი პირველი ნამყენმა, გაიხარა ჩემმა კინ-
კანმა!


მერე სულ თავს დავსტრიალებდი ყლორტს,
უცველედი, ვაკვირდებოდი, რომ რაიმე ავადმყოფო-
რი მოასხენოდა.

ნაშემოდგომებს, როცა ძალიან აცივდა, ჩემი კინ-
კანი შევფუთე, შევახვიე, რომ ზამთრის ყინულებს
არ დაეზიანებინა.

გაზაფხულზე კი მოეხსენი ზამთრის სამოსელი.
მაგრამ ერთ დამეს რატომლაც აცივდა. მანდარინის
ხეები დააზიანა სიცივემ. კინ-კანი კი ისევ ჩვეულებ-
რივად გამოიყურებოდა, მწვანე იყო. მე დამებადა
აზრი, რომ იგი ზამთრის ყინვებსაც აიტანდა. მარ-
თლაც, მეორე ზამთარს აღარ შემიფუთვავს. ლამე
ციოდა, დღეც ციოდა, მე ვაკვირდებოდი კინ-კანს

და ვამჩნევდი, რომ იგი უძლებდა ამ სიცივეებს.
მართლაც, მთელი ზამთარი მშენივრად გადაიტანდა
ჩემმა კინ-კანმა. ამნაირად დამტკიცდა, რომ ჩემს
პირობებში ზამთრობით კინ-კანს შეფუთვა არ სჭირ-
დება.

ზაფხულზე მამა-ჩემის ნერგებს რალაც ავადმყო-
ფობა გაუჩნდა; მატლებმა დაღრღნეს ფოთლები.
მე ავიღე მატლი და ჩემს ნერგის ფოთოლზე დავ-
სუი. მინდოდა გამეგო, აქაც მოიკიდებდა ფეხს თუ
არა. მაგრამ ჩემი კინ-კანი გამძლე გამოდგა, მატლმა
ვერ დააზიანა იგი.



ლიდა პონომარიოვა სწონის გოგრას

სამი-ოთხი წლის შემდეგ მე მისგან ნაყოფი მი-
ვიღე. დედამ კინ-კანის ნაყოფისაგან მშვენიერი შურაბა
გააეყთა“.

ნორჩი ნატურალისტი ალექსანდრე გაგუა სხვა
ციტრუსებსაც ამყნის, ამყნის მანდარინებს, ფორ-
თოხლებს, ლიმონებს, აუმჯობესებს მათ ჯიშებს.

მან ბევრ თავის ამხანაგს შეასწავლა მყნობა,
სკოლაში ნორჩი ნატურალისტთა წურ შექმნა და გა-
ცნო ბავშვებს მყნობის წესები.

ასეთივე კარგი შედეგები აქვთ მყნობის დარღვე-
თბილისის ნორჩი ნატურალისტებს: ვაშაკიძეს, მაი-
სურაძეს და სხვებს. აქვე ბავშვებმა გამოზარდეს სა-
ფოსტო მტრედები, შეაგროვეს სხვადასხვა კოლექ-
ცია, გააკეთეს მაკეტები...

ბევრი ნორჩი ნატურალისტი აწარმოებს ცდებს,
ბევრი აღწევს საინტერესო შედეგებს.

* *

უკვე დაიხურა სრულიად-საკავშირო სასოფლო-
სამეურნეო გამოფენა, დაიხურა ნორჩი ნატურალის-
ტთა პავილიონიც.

გაზაფხულზე, როცა სიცივე გაქრება, როცა
მცენარეებისა და ცხოველებისათვის ხელსაყრელი
ტემპერატურა დადგება, გამოფენაც გაისხება.

ნორჩი ნატურალისტები უნდა ემზადონ ამისათვის,
უნდა ემზადონ, რათა მომავალ წელს მონაწილეობა
მიიღონ გამოფენაში.

శ్రీనగరపతి

მიუხედავად ორმოცდაშეიდი გრაფუსისა ნულის
ქვემოთ, დღეს ნენეცის მოსახლეობა ქუჩაშია. შესა-
ძლებელია ტუნდრა ათასი წლის მანძილზე პირვე-
ლად ხედავდეს მოსახლეობის ასეთ გამოცოცხლე-
ბას. ბებერ პიასაც კი ჩაუმალავს თავისი მიჭიდვე-
ტილი ცხვირი აქლემის ქურქში და დახეტიალობს
ქუჩაში. მან ცხრაჯერ შემოუყარა ახალ შენობას,
შიგაც კი შეძვრა, გასინჯა ქვით ნაშენი კედლები
და დაბრუნებისას ჩაილაპარაკა:

— სავო, სავო, — ესე იგი, კარგია, კარგიაო.

କୌଠ ଦାନ୍ତୁଷ୍ଟ ତାଗିଲି ଲ୍ରାମି ତଙ୍ଗଲ୍ଲେବି ଲା ପାତ୍ରି-
ଗିଲ୍ଲସିପ୍ରେମିତ ଗାନ୍ଧାନ୍ତ୍ବଦା ଖଣ୍ଡିମ୍ବେ, ନିଲିବ ପିନ୍ଧେରିପୁଣ୍ୟ-
ବାଜ୍ଞା.

მოხუცი ქალის შემდეგ ერთიმეორებზე მიღიოდნენ
ნენკები ახალ აბანოსთან, ათვალიერებდნენ კედ-
ლებს, შორდებოდნენ, დაბრუნდებოდნენ, ხელახ-
ლა სინჯავლენენ.

შარშან ზამთარში დაბრუნდა ზოსიმე ჯარიდან. მან თან მოიტანა შორეულ ტუნდრაში დიდი ქალა-ქების კულტურა და ცხოვრება. ტანის ბანა და კბილების წმენდა ახლა აუცილებელი იყო. გრძელ პოლარულ ღამეში მის მშობლიურ ქოჩში დილამდის ენთო ცეცხლი. ახალგაზრდები, შემდეგ მოხუცნიც მიღიოლნენ მასთან, რომ მოესმინათ დიადი სამშო- ბლოს ახალი ცხოვრების ამბები. ძველი, მამა-პაპუ- რი ჩვეულებები, საუკუნეებიდან დარჩენილი, შეუ- მნივლად უთმობთნენ ადგილს დოგანდილ დოკის.

ერთხელ ზოსიმემ ხუმრიბით ტანთ გახადა მამას
პერანგი, თითო მიადო ზურგსა და გულზე. მოხუც-
მა შეხედა თავის ტანს, რომელსაც დაბადებიდან
არ მიჰყარებია წყალი, და გაუკვირდა, თითქოს ახ-
ლა პირველად დაინახა 60 წლის მანძილზე, რომ
ასეთი ჭუჭყიანი იყო.

ზოსიმე თბილი წყალი ჩაასხა გერხევის კასრში
და საპნის ქაფით დაბანა ტანი მამას. ილიას მთელი
17 საათი ტკბილად ეძინა, როცა გაიღვიძა, კიდევ
იბანადა. შემდეგ ტანი დაიბანეს მისმა ცოლმა მარი-
ამ, ქმამ პროკოფიმ, მეზობელმა პიამ, მერე კასრი
წაიღეს და სოფლის მოსახლეობამ სათითაოდ დაიბა-
ნა ტანი. ზოსიმე დაინახა, რომ ბანაობა ყველას

მოეწონა, და აბანოს აშენება ურჩია. ყველა სიხა-
რულით დასთანხმდა.

როგორც კი გადნა თოვლი გაზაფხულზე, ჩემის
მოსახლეობა ზოსიმეს მეთაურობით ყრიდა ტუნ-
დრიდან ქვებს, თხრიდა გაყანულ აყალო მიწას,
ზიდავდა სახლში, ცეცხლზე ადნობდა, ჰელდა და
აი ახლა....

ზოსიმე ამაყად გამოლიოდა წინ, უცხნიდა მცხოვრებლებს აბანოს დანიშნულებას, ავიდა დასაწოლ თაროზე, დაწვა ზურგით, ხელებს მუხლებზე იცემდა და უჩევენებდა, როგორ უნდა ესარგებლათ ცხელი ორთქლით. შემდეგ ზოსიმე გაჩერდა, ჩაიხედა რგვალ ჭუჭრუტანაში და თავმომწონედ განაცხადა:

— აქ კი ქვაბს ჩავლგამთ.

ბავშვები ირმის ტყაყის ქუდებითა და ჭურჭლებით
ბით ღროდადრო მირბოდნენ სოფლის განაპირა
სახლის იქით და დიდხანს შორს იცქირებოდნენ.
ზოსიმე, მომლოდინე მამისა, რომელიც ქვაბის მო-
სატანად წასულიყო, არა ერთხელ აღიღოდა აბანოს
თავზე და დურბინდით ათვალიერებდა რძისფერ
ცისკიდურსა და ტუნდრას.

ლამდებოლა, მზე მიღიოლა საღლაც შორეულ
პეჩორის დასაწყისში, არავინ არ ფიქრობდა შინ
დაბრუნებას: ყველას უნდოლა დაეცადა ილიასათ-
ვის და აბანო დაემთავრიებინათ.

ოცი მილიცა არ იქნებოდა, სადაც შემოდგომა-ზე ყინულმტეხმა შექვეთილი ქვაბი დატოვა, მაგრამ ილია მაინც არ ბრუნდებოდა. მოხუცმა პიამ მოთმინება დაკარგა, თავის ტყავს ბეჭვი ააჭრა, შეკერა, როგორც ნეშა, უბეში ჩაიდო და აბანოს-თან გაჩერდა. თანდათანობით უფრო და უფრო იპყრობდათ შიში — ილიას ხომ არაფერი შეემთხვაო, ხუმრობა და ლაპარაკი თანდათან წყდებოდა.

ზოსიმე კიდევ აფილა აბანოზე. ყინულოვანი ოქანიდან მოქროდა სუსტიანი ქარი. ნაცრისფერი პაწია ჩირგვები, ეს საცოდავი გერები ტუნდრისა, ლაქ-ბიგით მოჩანდა. შორს, თვალუწვდენელ უდაბნოში, იყო ახლა მისი მამა.

ილიამ ჯერ კიდევ შუაღლემდის თითქმის ნახევა-

რი გზა გაიარა. თორმეტი ძალლი, მსუბუქ მარხილში გაბმული, მედგრად ეწეოდა ხუთფუთიან ქვაბს. ქარით მოფანტული თოვლი ჭრიალებდა მარხილის ქვეშ, ილია წევდა ნელსუნოვან თუთუნს, რომელიც მას უძღვნეს მეზამთრე რადისტებმა.

ის შხარულად დასძახებდა ხოლმე ძალლებს, ხანდახან პირს იბრუნებდა და ქვაბის ფსკერს მათრახს დაურაბუქებდა. მოხუცს მოსწონდა, როცა უზარმაზარი შავი ქვაბი, თითქოს ცოცხალიათ, რკინის ბოხი ხმით გუგუნებდა. ილია ილიმებოდა, გული მისი სიამაყით იგსებოდა, რომ მხოლოდ მას ანდო სოფელმა ამ ძვირფასი ნივთის მოტანა. როგორი სიხარულით შეხვდებან მაშინ!

ილიამ სიყვრულით გადაუსვა ხელისგული ქვაბის ფსკერს და აუჩქარა ძალლებს. მათრახის ყოველი შემოქნევის შემდეგ ძალლები თავს დახრიდნენ, უფრო ძლიერ აწევბოდნენ ულელს. ილიამ წარმოიდგინა, გაცივებულ ტანზე როგორ დაუკლის თბილი, საპნიანი ნაკადები, სიამონებისაგან თვალები დახუჭა და ამოიკნავლა.

უცბად ძალლები გვერდზე მიაწყდნენ. მარხილი გაქანდა. ილიამ მარხილს ჩასჭიდა ხელი და გაშეშდა: დიდი თეთრი ლანგები გამოჩნდებოდნენ ზოლმე ჩირგვებში, გაქრებოდნენ და კვლავ გამოჩნდებოდნენ. ძალლები კუდამოძუებული მიქროდნენ. მარხილი ხტოლდა, ქვაბს ზანზარი გაპქონდა. კიაფობდნენ ჩირგვები, თოვლის გროვები, მატულობდნენ პოლარული თეთრი მგლები, ერთიმეორეს უსწრებდნენ და წინ გარბოდნენ. ილიამ თოვტი ამოიღო ბუდიდან და მუხლზე დაიჩოქა. მგლების სალტე მჭიდროდ ერტყმოდა მარხილს. თოვტის გრიალმა დაახევინა გაუმაძლრებს, მაგრამ თვალს არ აშორებდნენ მარხილს და შაინც მისდევდნენ. ხშირი ვერხვის ხეები, გორაკები ყოველ ნაბიჯზე გზას ულმაბავდნენ. ძალლები ხან ერთ ჩირგვს მიეხლებოდნენ, ხან მეორეს, ამოირბენდნენ სწორ ადგილზე, წაბორძიკდებოდნენ, გალებული ხახებიდან სქელი ორთქლი ამოსდიოდათ.

ცხოველებს ძალა ელეოდა. ილიას უნდოდა ქვაბი ჩამოეგდო, მათი ტვირთი შეემსუბუქებინა, მაგრამ ტუნდრის სიახლოვე აჩერებდა: იქ, ტატველ მინდორზე, მგლები ვერ გაბედავდნენ შემოტევას, თან შინ ხელცარიელი დაბრუნება არ უნდოდა.

თოვტის წამალი სულ გაძმევლია. ილიამ უკან მოიხედა — სამი მგლი კვალდაკვალ მოსდევდა შას. ერთი მათგანი, რომელსაც შუბლზე ჭრილობა ჰქონდა, კბილებით ჩაეჭიდა მარხილს და წინა ფახებით დაეყრდნო. ამ დაძაბულობით თვალები აემლვრა, დაჭიმულ კისერზე ბალანი ყალყზე დაუდგა. ილიამ მათრახი დაპკრა დრუნჩებ. მარხილი წინ გასრიალდა. ძალლები გახელებული მიქროდნენ. აი ჩირგვებში უფრო და უფრო ნათლად გამოჩნდა სოფლის მინდორი. მოხუცმა დამშვიდებით ამოისუნთქა. მაგრამ სწორედ ჩირგვების ნაპირას მოულოდნელად გადაელობა დაკლაკნილი გრძელი ხრამი. ძალლები შეუჩერებლივ გადახტენ, მარხილი ჩავარდა და ყირამალა დადგა. ილია ერთი წუთით დაიბნა, მაგრამ მაშინვე წამოლება და დახხმარა ძალლებს ხრამიდან მარხილის ამოთრევაში. ამოიღო დანა და გადაჭრა თოვები, რომ ქვაბი ჩაეგდო დაბლა. ქვაბი მხოლოდ ნახევრად ჩაცურდა მარხილიდან და ქვემო კიდით თოვლში ჩაფლო. მგლები მისცვივდნენ. გამწარებულმა ილიამ მიატოვა ქვაბი, სტაცა თოვს ხელი და მისი კონდახით იგერიებდა მგლებს. მგლებმა ახლა ძალლებისაკენ იბრუნეს პირი. ილიამ სწრაფად გადაჭრა თასმები, რითაც ძალლები მიბმულები იყვნენ მარხილზე. ისინი გაიქცნენ სოფლისაკენ, მგლებიც მათ დაედევნენ, რომელსაც დაწეროდნენ, დაგლეჯდნენ. ასე ყველა დაგლიჯეს, დარჩა ერთი ძალლი, რომელსაც „პოლუსი“ ერქვა. ის იყო მოწინავე ძალლი, ყველაზე ჭკვიანი და ოონიერი. ის მირბოდა იქით, სადაც ცისკიდურზე მოჩნდა სახლებიდან ამოსული კომლი. მოხუცი შიშმა შეიძყრო: მიაღწევს თუ არა? მას მოაგონდა, წარსულ ზამთარს გზაში ქაბუქი რომ წამოეწია და ორ-



დღეს თოვლქვეშ იყვნენ. ძალების ნახევარი გაწყდა, თვითონაც იყინებოდა. პოლუსმა გადაღრდნა თოვები და სოფელში გაიქცა. ილია იპოვეს და გადარჩინეს.

მგლებსა და პოლუსს შორის ასი მეტრი მანძილი იყო, ასე რომ პოლუსს შეეძლო გადარჩენა, მაგრამ თასმა, რომელიც მას ყელზე ება, თოვლზე მიეთროდა, ფეხებში ედებოდა, სირბილს უშლიდა. ილია ქვაბზე ავიდა, გულის ფანცქალით ადენტებდა თვალს მდევრებს. 10—15 წუთს უცქეროდა, შემდეგ მოულოდნებდა შეკრთა, ხელი ჩაიქნია, ჩამოხტა თოვლზე, გაიქცა ტუნდრისაკინ, ერთბაშად შემოტრიალდა და კიდევ ქვაზე ავიდა. მთელი ტანით კანკალებდა, როგორც ციებიანი. სჭრაფად შედგა ფეხების თითებზე, წინ გადაიხარა, ხელები გაიშვირა, თვალცრებმოიანი ჩურჩულით ემუდარებოდა:

— მეგობარო პოლუს, დაგეწვიან, არ დანებდე, აბა, აბა, კიდევ, კიდევ ძალა მოიკრიბე.

პოლუს არ გაუგონია ეს. მოხუცის დანაოცებული სახე უცცებ გაიშალა, განათდა.

მგლებმა შეწყვიტეს დევნა, ერთ ადგილზე იბაკუნეს და ქვაბისაკენ მობრუნდნენ. ილიამ ყურები ცევიტა. ცივმა ჟრუანტელმა გადაურჩინა ზურგზე. მშიერი ხრო თანდათან უახლოვდებოდა. ახლა ის უკვე ხედავდა მათ ლია ხახას. ისმორა არა ნაკლებ სამასი თათის გუგუნი თოვლზე.

ჰაერში ჟრაამული იყო. ილიამ თოფს სტაცა ხელი, მაგრამ მერე გვერდზე გადისროლა, მივიღა ქვაბთან, უნდოდა კიდევ აეწია, გაეთავისუფლებინა მარხილი, მაგრამ ქვაბი ძალზე მძიმე იყო. გაშინ მოიჩინია თოფთან. მგლები მოცვივდნენ, ჩირგვებში დაიმალნენ. წუთის შემდეგ გამოცვივდნენ გარეთ და მივარდნენ კაცს. ილია ახტა ქვაბზე და თოფის კონდახს ცემდა ფსკერზე. წინა რიგმა მგლებისამ ცოტათი უკან დაიხია. ილია განაგრძობდა კონდახის ცემას ქვაბზე.

უცბად ერთი მგელი შეახტა ილიას. ილია განხებასტა და თოფის კონდახი თავში ჩაარტყა მგელს. ხროვამ ერთ წუთს დაივიშა ილია და დაჭრილ მგელს მივარდა.

ყმუილი... ლრიალი... ნაკუწ-ნაკუწ ხორცი, ბალანი ცვიოდა ირგვლივ. ილია ხელებით ჩააფრინდა ქვაბის ქვემო კიდეს, ძლეს ასწია, მარხილს ფეხი ჰერი, გააგდო და ქვაბის ქვეშ შეძრა. დიდი ქურქი ეცვა, ძლივ ინძრებოდა. გაუმაძლები მისცვივდნენ ქვაბს და მის ქვემოდან თაოებით თოვლს ყრიდნენ გარეთ. ქვაბი შეირყა, გვერდზე უნდა გადავარდნილიყო. ილია ზურგით მიაწვა და ახალ ადგილს გადასწია. მგლები, ლრიალთა და ლმუილით, კბილებით აფრინდებოდნენ ქვაბის კიდეს. ილია ქვაბის ქვეშ ინძრებოდა, ადგილიდან ადგილზე გასწევდა ხოლმე ქვაბს. მალალი გამხმარი მგელი დაწვა გვერდზე, თავი ქვაბში შეპყო, თვალებს ხუჭავდა, ყელიდან მძიმე, დახუთული ხრიალი გამოვიდა, ქვაბი ყელზე აწვებოდა. ილია მოიკრუნჩხა, მგელმა

დაილმუვლა, ყბები მოელრიცა, უცბად წინ წაიწიდა და ილიას ფეხებში ჩააფრინდა. ილიამ ტკივილისაგან დაიყვირა, უცბად დანა ამოილო და ყელში ჩაჰერა გაუმაძლარს. მგელმა თავი გაითავისუფლა ქვაბიდან და სასიკვდილოდ დაჭრილი ძლივს წავიდა ბარბაცით. ის კოჭლობით მივიდა ხრამის ნაპირზე ჩირგვებში. მშიერმა ხრომ, როგორც კი ეცა სისხლის სუნი, დაგლიჯა ის.

ილია ქვაბის ფსკერზე ურტყამდა დანის ტარს, მაგრამ მგლები არ ისვენებდნენ, ისინი კიდევ და კიდევ მივარდებოდნენ ქვაბს, ცდილობდნენ იქიდან გამოეთრიათ კაცი. ისინი ქვაბში ხან თათს შეჰყოფდნენ, ხან დარუნჩს, თხრილნენ თოვლს, აფრინდებოდნენ ილიას ფეხებში, ერთმანეთს აწვებოდნენ, ყმუილდნენ. ილია დანით იგერიებდა. გაუმაძლები გლეჯდნენ დაჭრილებს, ჩხუბობდნენ საქამილოსათვის, ახტებოდნენ ქვაბზე, ჩ-მოხტებოდნენ, კიდევ ახტებორნენ. გვერდზე მიწა გაუთხარეს ქვაბს, მან რევა დაიწყო. ილია თავითა და მხრებით მიაწვა ფსკერს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ასწია და იხალ ადგილზე გადადგა. მგლები ამოქრავდნენ, ხროვას გამოეყო ბებერი წინამძლოლი, სულ გაძვალტყავებული. მიუხედავად ამისა, მის ყოველ მოძრაობაში მოჩანდა ძალა და მტკიცე ნებისყოფა წინამძლოლისა. მან შემოუარა ქვაბს და შეახტა ფსკერს, მაგრამ წონასწორობა დაეკარგა და ჩამოცოცდა. მერე მეორე შეხტა ქვაბზე, უფრო ბებერი და გამხდარი, ვიდრე პირველი. ის უხეშად შემოტრიალდა და თავი ასწია. წინამძლოლმა მკაცრად შეხედა მას, უჯან დაიხია, შეხტა და გადააგდო ის. დარჩა რა მარტო ქვაბზე, თავი გადასწია და ყმუილი დაიწყო. ხმა დაბალი ჰქონდა, მის ხმაში ისმოდა ბრაზი, ჯავრი და მოწოდება, როდესაც გაუმაძლარ ხმამარლი ხმაბი ყმუილდნენ, მგლები უურს უგდებდნენ წინამბროლს ვიწრო რგოლად შემორტყმულნი. ვინც ქვაბის ახლოს იყო, ხანდახან ალმაცერად გადახედავდა ქვაბს და პირს ილოკავდა.

მოკლე პოლარული დღე შეწყდა. დადგა გრძელი ლამე, მკაცრი და ცივი. მგლები თავს არ ანებებდნენ ილიას. მოხუცი დილამდე ქვაბის ქვეშ იჯდა, განძრევა ეშინოდა, რეტი ესმოდა, ხელ-ფეხი სიცივისაგან გაშემებოდა, საფეთქლები უსკლებოდა. მის გონებაში ცველაფერი ირეოდა. მას ეჩვენებოდა, თითქო საიდანლაც, ცისკიდურიდან, წერტილები გაიზარდნენ და ტუნდრის თეთრ ხალიჩაზე მოიფანტნენ, თითქოს სიზმარში ესმოდა ჩქარი ყრუ ხმაურობა. ილია ელოლდა ახალ შეტევას.

* *

ნენცები დალამებამდის არ დაშლილან: ილიას ელოლდნენ. ზოგი ამბობდა: ალბათ, ნაესადგურში მეზამთრებთან შეხერდათ. ზოგი ამბობდა: შეიძლება მგლებს ან თეთრ დათვს წააწყდათ. გადა

შევიტეს ილიას მოძებნა და რაღგან გვიან იყო, დილისათვის გადადეს.

დილას, როცა ინათლა, მანამ ზოსიმე ძალებს შეაბამდა მარხილში, აიღო დურბინდი და აბანოს სახურავზე ავიდა. ჯერ კიდევ ბნელოდა უსიცო-ცხლო ტუნდრაზე, შავი ლრუბლები ჩამოწოლილი უდაბნოზე. სახლებიდან გამოვიდნენ ქალი თუ კაცი და რომ დაინახეს ზოსიმე, თავი მოიყარეს აბანოსთან. ილიას ძმამ პროჭოფიმ ცისკიდურს გახედა ელამი თვალთ და მოკლედ თქვა:

— თუ ქარბუქი წამოწია, ვერ მოაღწევს ილია ქვაბით.

— სჯობს ქვაბი გადაგდოს, ვინემ თვითონ...
— ქალმა სიტყვა არ დაამთავრა.

ყველამ აბანოზე აიხედა. ზოსიმე ნერვულად ტკე-პნიდა სახურავს, ხან დაიხრებოდა, ხან დადგებოდა და და დურბინდით ცისკიდურს სწრაფად ათვა-ლიერებდა.

— მოდის, მოდის! — მხიარულად წამოიძახა, მაგ-რამ უცბად ერთ ადგილს გაშეშდა. ერთი წუთის

სახე გაუფითოდა, სწრაფად მოუქნია მარტახა ძალებს და გარეკა წინ. სხვებიც დაედევნენ, მიუ-ახლოვდნენ ხროვას. ბოლმა სულს უსუთავდა ზოსი-მეს. მან თოფი დაუმიზნა მგელს, ესროლა. მგელი ქვაბიდან გაღმოვარდა. ერთიმეორეზე უგზავნიდა ტყვიებს ზოსიმე მკლის ხროვას, მას არ ესმოდა, სხვების თოფებსაც რომ გრიალი გაჰქონდა. მგლე-ბი ყმულით გარბოდნენ და ჩირგვებში იმაღლებოდ-ნენ. ცოტა დახრილი იდგა ქვაბი ხამის პირზე. მოშორებით ჩანდა გადაბრუნებული მარხილი, რო-მელსაც თასმები და სადავე თოკები შემოლრლნილი ჰქონდა.

მოვრალივით დადიოდა ზოსიმე წინ და უკან. მგლების მიერ დატეპნილ თოვლზე დაცვენილი ბანლები, ძვლები, სისხლის წვეთები, — ესლა გა-დარჩა ადამიინისა და მისი მარხილისაგან... ზოსი-მემ ლრმად ამოიგმინა, მიბრუნდა, უცბად მოიშმინ-და ცრემლები ლაწვებიდან.

ნენცები მოკლე სიტყვებით გამოესაუბრნენ ერთ-მანეთს და ის დასკვნა გამოიტანეს, რომ ილია



შემდეგ ყველა მიხვდა, რომ ილიას უბედურება ეწია. ორას ნაბიჯზე სოფლიდან შეჩერდა „პოლუ-სი,“ გრძლად დაიყმუვლა და დაეცა. ყველა მივი-და მასთან, შემოეხვინენ ირგვლივ. ქვიანმა ძალ-ლმა ფეხი გაულოეა ზოსიმეს და თავი უკან მიი-ბრუნა. მას უნდოდა ფეხზე წმიმდგარიყო, მაგრამ წელმოწყვეტილივით დაეცა, თათები სულ გადას-ცრეცოდა, ძარღები ამოსისროდა ლრმა ჭრილობი-დან. ზოსიმემ ხელში აიყვანა ძალი. მას კისერსა და გვერდებზე თიხ ადგილს გადაღეჭილი ჰქონდა. ტყავი. სოფლელებმა ერთმანეთს გადახედეს,

ნახევარი საათის შემდეგ თორმეტი მარხილი მი-ქროდა ტუნდრაზე.

ტყის ბოლოს რაღაცა გამოჩნდა. მარხილები შეაჩერეს.

დურბინდში ქვაბი მოჩანდა, მის ზემოთ მგლი იჯდა და ოცდაათ ნაბიჯზე ირგვლივ კიდევ მგლე-ბი ისხდნენ.

— დავიგებიანეთ! — ყრულ წარმოთქვა ზოსიმე — მამისაგან ძვლებიც არ დარჩენილა.

დაღუპა ხრამმა და მძიმე ქვაბმა. მოხუცმა ვერ მოასწრო დროზე მისი გადაგდება, ძალებიც დასუსტდნენ.

დიდხანს ბაკუნობდნენ სოფლელები ქვაბის ირ-გვლივ და იგონებდნენ ილიას. ზოგი დაბნეული იხედებოდა იქით, ზოგი ყალიონს ბერტყავდა ჩაც-უცესული. უშიშარი გაჭირვებაში, დაუღალავი მხე-დარნი თვალუწვდენელ ტუნდრაში, ახლა ისინი უმწეო ბავშვებს ჰგვანდნენ.

— ახ, ილია, ილია! — თავის ქნევით იმეორებ-დნენ ერთმეორეზე. ეცოდებოდათ ილია, თავდე-ბალი, მგრძნობიერი მოხუცი. არა ერთმა ათეულმა ყმაშვილმა დაისწავლა მისგან ეშმაკი მელიას დაჭე-რა და თეთრი დათვის ქვალის მიგნება.

— მაშ ახლა რა ექნათ? — უცბად იკითხა ერთ-ერთმა.

— შინ წავიდეთ, — დიდი სიჩუმის შემდეგ ყრუ ხმით უბასუხა ზოსიმემ. განიერბეჭებიანმა პროკო-ფიმ თოვლიდან აიღო ილიას თოფი, კონდახშემო-ლრლნილი, მერე ხელით ქვაბზე მიუთითა:

— მშის თოფს სახსოვრად წავილებ, ამას კი რა ვუყოთ?

— ესეც შინ წავილოთ, — მოესმა ხმები, — უქვა- ბოდ როგორი აბანო იქნება!

საუკეთესო მარჩილი მიიტანეს ქვაბთან. სამშა ძლიერმა ვაჟმა ქვაბის კიდეს მოჰქიდა ხელი. დაუ- წყეს აწევა. ქვაბილან კვნესა მოისმა. მაშინ ქვაბს მიაწენენ ყველანი. თოვლი აჭრიალდა. ქვაბი ცო- ტათი აიწია, ქვაბის ქვემოლან დიდი ორთქლი გა- მოვიდა. ყველა შეკრთა ამ მოულოდნელი აშბისა- გან, უნდა დაეტოვებინათ ქვაბი, მაგრამ ერთბა-

შად ასწიეს და გადაატრიალეს. აველანი ყვირი- ლით გაიქცნენ იქით-აქეთ. ქვაბქვეშ ნახევრად გრაფიკული ნებადაკარგული იჯდა ილია.

— ილია, ილია! — შესახეს ერთი ხმით.

ილია გონს მოვიდა, უბად ხელები დაბლა დაუ- შეა, ტუჩები და თხელი, ჭალარაგარეული წვერი შეუტოედა, დაბნეულმა შეხედა ყველას და პირი იბრუნა, რომ თვალებზე მომდგარი ცრემლი და- ემალა.

თარგმანი 6. ტუშელაზილისა

კახეთის ჯუნგლების მზაცხელი გაყაყი

ეს მძვინვარე, ხორცის მჭამელი, გაუმაძლარი არსება ბერე მღვიმებსა და ცენტრალური და სამ- ხრეთ ამერიკის ჯუნგლების ხშირ მცენარეულობაში ბინაღრობს.

გარეგნობით ის მხოლოდ სიდიდით განსხვავ- დება ჩეულებრივი ბაყაყისაგან, მაგრამ თავისი ცხოვ- რების ხასიათით საქსებით განირჩევა ყველა სხვა სახის ბაყაყისაგან.

ის გაბედულად ესხმის თავს ყოველ ცოცხალ არსებას, რომელიც არ აღმატება მისი სხეულის მოცულობის ორ მესამედს: თაგვებს, ხელიკებს, ჩი- ტებს, გველებს. მწერებზე ხომ ლაპარაკიც ზედმე- ტია. ის სულ მუდამ ფხილად არის, მუდამ უთვალ- თვალებს სამსხვერპლოს. საქმარისია შენიშნოს მას- თან მოახლოებული ცხოველი, რომ მისი ენა ელვი- სებური სისწრაფით გაღმოვარდება პირიდან და ძლი- ერი დარტყმით ამარცხებს გაუფრთხილებლად მოა- ხლოებულ მსხვერპლს.

ენის ერთი მოძრაობით მტაცებელი მსხვერპლს პირისაკენ მიაქანებს და სწრაფად ყლაპავს. მაგრამ როდესაც მსხვერპლი დიდია და როდესაც მას წინა- აღმდევობის გაწევის უნარიც აქეს, მაშინ ბაყაყი ამუშავებს თავის წინა ფეხებს და ხმარობს მათ ისე, როგორც ნამდვილ ხელებს. ველური მძვინვარე- ბით სტაცებს წინაფეხებს უკუჭცეულ ცხოველს და იტენის მას პირში.

მაგრამ მტაცებელი ბა- ყაყი ყოველთვის ადგილ- ად როდი იმარჯვებს.

ბადეში, სადაც ცხოვ- რობდა დატყვევებული ას- ეთი ბაყაყი, საცდელად პატარა მასრინბელა გვე- ლი, სიგრძით 3/4 მეტრი და დაახლოებით ამოდე- ნავე ანკარა შეაგდეს. სა- მივენი ერთიმეორისაგან დაშორებული იყვნენ, თითოეული მათგანი თით- ქოს ამოწმებდა ერთიმეო- რის საბრძოლო ძალას.

მაგრამ აი რა მოხდა: როგორლაც ანკარა ქედელ- ზე ცოცვისას მოსწყდა ქედელს და დავარდა სწო- რედ ბაყაყის წინ. არ გასულა წამიც, რომ გველის თავი ბაყაყის პირში მოექცა. გველი თავისი გრძე- ლი ტანით იკლავნებოდა, ცდილობდა განთავისუფ- ლებას, ერტყმოდა რკალად ბაყაყს; ბაყაყი კი სწრა- ფად ითავისუფლებდა თავს და „ხელებით“ გამაღე- ბით იტენიდა ანკარის ტანს პირში. ურტყმიდა რა გველი კუდს გალიაში დარწობილ ლატანს, ის შემო- ეხვია მას მეტიღოდ. ბაყაყმა გადაყლაპა გველი ლატანამდის, მოუჭირა პირი და დაიწყო წევა მოე- ლი ძალით, მაგრამ გველის კუდი არ ნებდებოდა.

საათნახვებარი დასჭირდა ბაყაყს, რომ მოეგლი- ჯა გველის ტანი ლატანიდან. მაგრამ ბაყაყის კუტის მოცულობა არ გამოდგა საქმარისი გველის მოსათავ- სებლად.

კიდევ დიდხანს იყო გაღმოკიდებული გამარჯვე- ბული ბაყაყის პირიდან უსიცოცხლო კუდი დამარ- ტხებული გველისა.

დედამიწაზე ბევრნაირი ბაყაყი არსებობს. ბაყა- ყი 2. 000 სახის გვედება. მაგრამ ეს მტაცებელი ბაყაყი მათ შორის სრულიად განსხვავებული და განსაკუთრებულია. ის გახდა ასეთი იმიტომ, რომ ეს ბაყაყები რამდენიმე ათასი წლების განმავლობაში სრულიად სხვაგვარ პირო- ბებში ცხოვრობდნენ, ვიდ- რე ყველა სხვა წყალ-ხმე- ლეთა ცხოველთა წარმომა- დგენლები. ისინი მოხვდნენ ამერიკის კუნგლ გლები ს მკაცრ პირობებში, სადაც აღვილი არ არის გამარ- ჯვება სიცოცხლისათვის ბრძოლაში, საჭიც არსე- ბობის უფლებას მოიპოვე- ბენ მხოლოდ ისინი, რომე- ლიც მთლიანად შეგუე- ბულნი არიან აშ მკაცრ პირობებს.



ગ જ ા ટ એ ગ ટ ા જ

‘ଓ’সিকা: ১. শহীদেরক্ষণের

სიტყვები: ი. გრიშაშვილის

Moderato.

ცივი ქარი დანავარდობს
გამშელა ხის კერძერო.
თბილ ქვეყნისკენ გაეშურა
მერცხალი და ლიდი წერო.


ზოგმა ტკბილი ჩურჩხელები
ხარიხებზე ჩამოჰკიდა
და ზოგი კი ქალაქისთვის
ეზიდება შეშს ტყიღან.

ვასტ 50 კავ.

გ ა ს ა ჩ ი თ ბ ი

პ რ ც ს პ რ ც ხ ე ბ ი

შეადგინა თბილისის მე-18 სკოლის მე-7 კლასის მოსწავლემ
ბ. ქვარაიაშვილი




სიცუკეები პრატიზნებადებად

2. ქიმიური ხელსაწყო.
5. პროფესია.
6. პლანეტა.
9. პატარა მცენარე.
10. დადასტურების ნიშანი.

სიცუკეები ვეზიკალუად

1. რუსი მეცნიერი.
3. მდინარე აზიაში.
4. ევროპის ერთერთი სახელმწიფოს დედაქალაქი.
7. სამჭედლო იარაღი.
8. მცენარის ნაყოფი.

თ ე ც ს ა გ ა ხ ე ბ ი



ცენტრში და წრეხაზე აღნიშნულ რგოლებში ჩასწერეთ ციფრები 1-დან 9-მდე, ისეთნაირად, რომ ყოველ დიამეტრში მოთავსებული სამი ციფრის ჯამი უდრიდეს 15-ს.